საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პოტენციალი სპორტული ტურიზმის განვითარებისთვის

მომხსენებელი: ზურაბი ჯიქია

ხელმძღვანელი: პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი

ელ.ფოსტა: zurajiqia@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. #3

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობა უკავშირდება რამდენიმე მომენტს.საქართველოში, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ტურიზმი ყველაზე სწრაფად მზარდ მიმართულებად და ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად ჩამოყალიბდა.ყოველწლიურად იზრდება ტურისტთა ნაკადებიც და მათი მოთხოვნილებებიც.ტურიზმი, როგორც ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მუდმივად განიცდის ევოლუციას და განვითარებას. შესაბამისად ჩნდება ახალი გამოწვევები, რომელზეც აუცილებელია ფეხის აწყობა.ამიტომაც,მნიშვნელოვანია ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება,მათ შორის ძალიან საინტერესოა სპორტული ტურიზმი.

სპორტული ტურიზმი, ეს არის მოგზაურობა, სპორტულ ღონისძიებაში, როგორც აქტიურად, ასევე პასიურად მონაწილეობის მიღების მიზნით. სპორტული ტურიზმი მთელ მსოფლიოში დასვენებისა და გართობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმა ხდება. ტურიზმის ამ მიმართულების ბენეფიციარები, არამხოლოდ პროფესიონალი სპორტსმენები და მწვრთნელები არიან,არამედ სპორტული ტურიზმი არის შესაძლებლობა, საოფისე და რუტინული შრომისაგან აქტიური და სრულფასოვანი დასვენებისკენ.საქართველო გამორჩეულია ბუნებრივი პირობებით -ჩვენს რეგიონში არის სინთეზი ზღვის და მთის ჰაერის. ეს სპორტული აქტივობების სრულყოფილად ჩატარების საშუალებას იძლევა: სპორტული აქტივობები შეიძლება იყოს, როგორც სპორტული ღონისძიებები, ასევე სასწავლო საწვრთნო შეკრებები და სამოყვარულო სპორტული ივენთები. მთა-გორიანი რეგიონები არის მიმზიდველი ლოკაცია ჰაიკინგისა და კემპინგის მოყვარულთათვის.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ის ბუნებრივ-გეოგრაფიული რესურსები, რომელთა შესწავლა და დაგეგმარება ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას საქართველოში.